საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240199818

რეგისტრაციის თარიღი

20.02.2024 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილის ჟ. შარტავას ქ 14ა
ტელეფონი: 599514451

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
941193869520 24

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოც თებერვალს მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ.14 ა-ში მომმართა, **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნინო ჟვანიას 24“ -ს თავმჯდომარემ ბექა გერაძემ (ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ფურცელი N 10-1018 ; აღრიცხვის თარიღი 16.05. 2023 უფლებამოსილების ვადა 25.02.2025 წ)** .მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად: **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნინო ჟვანიას 24“ -ს თავმჯდომარემ** (ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ფურცელი N 10-1018 ; აღრიცხვის თარიღი 16.05. 2023 უფლებამოსილების ვადა 25.02.2025 წ) **ბექა გერაძემ (დაბ.26.04.1984წ პ/ნ 01009016455)** მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები: საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან პირადადა წაიკითხა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნინო ჟვანიას 24“ -ს თავმჯდომარემ** (ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ფურცელი N 10-1018 ; აღრიცხვის თარიღი 16.05. 2023 უფლებამოსილების ვადა 25.02.2025 წ) **ბექა გერაძემ (დაბ.26.04.1984წ პ/ნ 01009016455)** „შემდგომში-მარწმუნებელი“ **გიორგი ჯანიაშვილს (პ/ნ 01017033100)** „შემდგომში-რწმუნებული“ მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, შემოსავლების სამსახურში, მერიასა და მის სამსახურებში, საკრებულოში, გამგეობაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, თვითმმართველობის ორგანოებში და სხვა. უზრუნველყოს აზომვითი ნახაზების შესრულება, ფართის ლეგალიზაცია და/ან დაკანონება, ფართის კორექტირება (გაზრდა/შემცირება), გამიჯვნა/გაერთიანება, ფართის ან მისი ნაწილის სერვიტუტით დატვირთვა და სხვა. აიღოს და შეიტანოს ცვლილებები უძრავი ქონების სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, აიღოს შენობა-ნაგებობის აშენების/მიშენების/დაშენების/დემონტაჟის, ფასადის რეკონსტრუქციის, ღობის ამოჭრის, შენობის მოპირკეთების და სხვა ნებისმიერი სახის საჭირო ნებართვები, მოახდინოს შენობა/ნაგებობის პროექტირება, შეათანხმოს პროექტები, შეათანხმოს პირველ, მეორე (ან სხვა ნებისმიერი ტიპის) კლასს მიკუთვნებულ სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები, შეიტანოს პროექტში ცვლილებები და/ან დამატებები, აწარმოოს საპროექტო სამუშაოები, უზრუნველყოს შენობის დასრულება, აწარმოოს ახალი მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული საქმეები, უზრუნველყოს ერთიანი გენერალური გეგმის პროექტის დამუშავება და განხორციელება. „მიმნდობის“- სახელით განაცხადოს ნებისმიერი ტიპის თანხმობები, გააკეთოს განცხადებები და სხვა. წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტები, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გაგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს ნებისმიერი ხარვეზი და ჩააბაროს დოკუმენტაცია ხელახლა, აღნიშნულთან დაკავშირებით შეაგროვოს და აიღოს, ჩააბაროს და გამოითხოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია, ცნობები, ნებართვები და სხვა ნებისმიერი დოკუმენტაცია, მიიღოს ამონაწერი მიმნდობის სახელით ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას, შეათანხმოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები, შეძლოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განცხადების წარდგენა და ხელმოწერა. ასევე შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან, საჯარო რეესტრში უძრავი ქონების დარეგისტრირების, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებები რეგისტრაციისა და ამონაწერის აღების ჩათვლით.

მინდობილი ასევე უფლებამოსილია იყოს მიმნდობის წარმომადგენლები სს თელასში, შპს თბილისი ენერჯიში, ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერში, ენერგო პრო ჯორჯიაში, სოკარ გაზ ჯორჯიაში და სხვა ნებისმიერ საკომუნიკაციო ორგანიზაციებში. უზრუნველყოს ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიისა და წყლის შეყვანა აღნიშნულ უძრავ ქონებაში, ამისათვის შეიტანოს ნებისმიერი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და ნებისმიერი დოკუმენტი ან მისი დუბლიკატი, ხელი მოაწეროს „მიმნდობი“-ს მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

წინამდებარე მინდობილობა მარწმუნებელს წაუკითხა ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, მარწმუნებელმა მოიწონა მინდობილობა და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 507-ე დადგენილების 31-ე, მუხლისა, და დღგ. 5.4 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის N169-ე მუხლის პირველი ნაწილისა აგრეთვე გადახდილია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

ბექა გერაძე

ქ. ოდილავაძე

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**01.14.12.003.062**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882023015750**	ფართობი:	**6515 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
მომზადების თარიღი:	**19/04/2023**		



პირობითი აღნიშვნები:

ნაკვეთის საზღვარი		მშენებარე ნაგებობა	02/4	აშენებული ნაგებობა	ქარსაფარი ზოლი
ხაზობრივი ნაგებობა		ტყის ფონდი		ვალდებულება	

ამხანაგობის სახელწოდება

ბ მ ა ამხანაგობა "ნინო ჟვანიას 24"

ქალაქი თბილისი 07/ 12/ 2023

თარიღი (დღე, თვე, წელი)

კრების ოქმი N 9

კრებას თავჯდომარეობდა ამხანაგობა ბმა "ნინო ჟვანიას 24– ს თავჯდომარე ბექა გერაძე პ/ნ 01009016455

დღის წესრიგი (-7,15.ნიშნულზე) (პარკინგში კარის ამოჭრა)

კრებას ესწრებოდა ბმა ნინო ჟვანიას #24 წევრთა უმრავლესობა 2/3

ამხანაგობა ნინო ჟვანიას 24-ს წევრებმა განიხილეს (-7,15.ნიშნულზე) პარკინგში მდებარე კარის ამოჭრის საკითხი. ვინაიდან მომიჯნავე მეზობელს გადმოკვეთილი აქვს კორპუსის წითელი ხაზები და რკინის კონსტრუქციით აქვს ჩაკეტილი პერიმეტრი,რის გამოც კორპუსის უკანა მხარეს ვერ ხერხდება მისვლა,აუცილებლობა მოითხოვს გაკეთდეს კარები კონსტრუქციული რისკების დაცვით, 2.20X90-ზე.არსებულ საკითხს დაეთანხმა ამხანაგობის უმრავლესობა. 2/3 ოქმს თანდართული აქვს ამოსაჭრელი კარების ფოტომონტაჟი.

ამხანაგობა ბმა "ნინო ჟვანიას 24– ს თავჯდომარე

ბექა გერაძე პ/ნ 01009016455

/ბექა გერაძე/


1.20
2.20


1.20
2.20
12 14·23


1.20
2.20

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231754975
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.12.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	გულთამზე ბოჭორიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის გამზირი №25, ბინა №3
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591245741
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	85854475320623

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდასამ დეკემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსს გულთამზე ბოჭორიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის გამზირი №25, ბინა №3, მომმართა: ბექა გერაძემ. მან წარმოადგინა **ბმა ამხანაგობა „ნინო ჟვანიას 24“-ს კრების ოქმი №9** და მოითხოვას მასზე თავისი ერთი ხელისმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: მე ნამდვილად: **ბექა გერაძემ** (დაბ. 26.04.1984წ. თბილისში, პ/ნ 01009016455, პ/მ 20IA31841, გაც. 24.05.2021წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგ. მის: თბილისი შალვა ნუცუბიძის ქ. N125ა ბლოკი 1 ბ. 36) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს მის მიერ წარმოდგენილ **კრების ოქმში** მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. შემდეგ **ბექა გერაძემ** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე **ბმა ამხანაგობა „ნინო ჟვანიას 24“-ს კრების ოქმს №9,** რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (6.00) ექვსი ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა. აგრეთვე დღგ (1,08) ერთი ლარი და რვა თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, აგრეთვე: 5.00 (ხუთი) ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლის 1 პუნქტისა. სულ (12,08) თორმეტი ლარი და რვა თეთრი.

ნოტარიუსი
გულთამზე ბოჭორიშვილი

